28/05/2026

MES 2 26 0000637751

## ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

საბჭოს თარიღი - 28.05.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო - 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო - 17:00 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
**ნატო შეროზია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**მარინე ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
**ნათელა ლურსმანაშვილი** - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**თამარ ბიბილაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

**1) ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი:**
ნათია ლაფანაშვილი - ცენტრის დირექტორი;
თეა მიქაბერიძე - ცენტრის მეთოდისტი;
დიანა გულისაშვილი - ცენტრის შესყიდვების სპეციალისტი;
მარიამ ტუღუში - ცენტრის სპეციალური პედაგოგი;
ქეთევან არეშიძე - ცენტრის ექიმი.
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დუშეთის N3 ფილიალი:**
ლედი ვარსიმაშვილი -ფილიალის დირექტორი;
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი:**
ცარიკო კბილცეცხლაშვილი - ფილიალის დირექტორი;
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაბა ჟინვალის ფილიალი:**
ლალი ბარჯაძე - ფილიალის დირექტორი;
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის პირმისაანთკარის ფილიალი:**
მანანა მამსირიშვილი - ფილიალის დირექტორი.

**2) ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება:**

ლამზირა გუგავა - გაერთიანების დირექტორი;
**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღი:**
იზა ონიანი - საბავშვო ბაღის გამგე;
**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღი:**
მარინა ვაჩლიანი - საბავშვო ბაღის გამგის მოვალეობის შემსრულებელი;
**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღი:**
მაყვალა ლიპარტელიანი - საბავშო ბაღის გამგე;
**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღი:**
ელზა ქურასბედიანი - საბავშვო ბაღის გამგე.

**3) ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება:**
მაია ხერგიანი - გაერთიანების დირექტორი;
**ლატალის საბავშვო ბაღი:**
ნათია ჩართოლანი - საბავშვო ბაღის გამგე;
**მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღი:**
ნინო კახბერიძე - საბავშვო ბაღის გამგე;
**ეცერის საბავშვო ბაღი:**
თამილა სუბელიანი - საბავშვო ბაღის გამგე.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (დუშეთის N3 ფილიალი):**
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი):**
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (დაბა ჟინვალის ფილიალი):**
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (პირმისაანთკარის ფილიალი):**
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
თამარ ლომიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.
**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება (ლენტეხის საბავშო ბაგა-ბაღი):**
ემილია გაბრიაძე - კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი -კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება (ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ემილია გაბრიაძე - კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი -კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება(ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ემილია გაბრიაძე - კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი -კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღი):**

ემილია გაბრიაძე - კაკაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო მამრიკიშვილი -კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარულ და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ლატალის საბავშვო ბაღი:**

გიორგი მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნატო ფანჩულიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღი:**

გიორგი მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნატო ფანჩულიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ეცერის საბავშვო ბაღი:**

გიორგი მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნატო ფანჩულიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 28 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - მუნიციპალიტეტი დუშეთი, დუშეთის N3 ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, პირმისაანთკარის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ხოფურის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ხელედის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - საყდრის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ლატალის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ეცერის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **დიახ**

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ, დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს სხდომაზე მეოთხე საკითხად განხილულიყო ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხი. საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის დამატებითი შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა ცვლილებით და წარმოდგენილი სახით:

1. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - მუნიციპალიტეტი დუშეთი, დუშეთის N3 ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, პირმისაანთკარის ფილიალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ხოფურის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - ხელედის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება - საყდრის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ლატალის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - მულახის (მუჟალი) საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ეცერის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დუშეთის N3 ფილიალი**) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დუშეთის N3 ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური

სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 110.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 110 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მოკლევადიან და გრძელვადიანი გეგმებთან დაკავშირებული ხარვეზით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები უკვე აღმოფხვრილია.
საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხიმგებელი პირის არსებობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბრძანებით ჰყავთ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და აქვთ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტიც.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა კურიკულუმის მიზნების შესასრულებლად განსაზღვრული რესურსებისთვის საჭირო ბიუჯეტის არსებობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, რათა ბიუჯეტში ცალკე მუხლად განისაზღვროს კურიკულუმის მიზნებისთვის განსაზღვრული ხარჯები.
საბჭოს წევრი, ნათელა ლურსმანაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მზაობით ინკლუზიური განათლების მიმართულებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აქვთ შესაბამისი მზაობა, ცენტრს ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰყავს ფსიქოლოგი და ასისტენტი. ასევე, აქვთ მემორანდუმი „ასოციაცია ანიკასთან" და მუდმივი თანამშრომლობით ცდილობენ ცნობიერების ამაღლებას.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა მენიუსთან დაკავშირებული შეუსაბამობებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებას გაუფორმებენ ნუტრიციოლოგს და შეეცდებიან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრან მენიუსთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 11:00
**დასრულების დრო** - 11:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დუშეთის N3 ფილიალი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 110-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დუშეთის N3 ფილიალი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 110-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი**) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის სოფელ მჭადიჯვრის ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ეზოს უსაფრთხოების საკითხით.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ ეზოში განთავსებულია ხის „ლაბირინთი“, რომელსაც რკინის კონსტრუქციის კუთხეები აქვს და არ არის უსაფრთხო ბავშვებისთვის.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლმა განმარტა, რომ აპირებენ აღნიშნული „ლაბირინთის“ დემონტაჟს და მეორადი მასალებით სხვა რესურსების შექმნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 11:22
**დასრულების დრო** - 11:28

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს (მუნიციპალიტეტი დუშეთი, სოფელ მჭადიჯვრის ფილიალი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დაბა ჟინვალის ფილიალი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაბა ჟინვალის ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 110.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 110 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საკონსულტაციო საბჭოსთან დაკავშირებული ხარვეზის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 11:43
**დასრულების დრო** - 11:48

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დაბა ჟინვალის ფილიალი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 110-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს (მუნიციპალიტეტი დუშეთი, დაბა ჟინვალის ფილიალი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 110-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, პირმისაანთკარის ფილიალი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის პირმისაანთკარის ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40.

აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ეზოს მოწყობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა, განმარტა რომ შენობა ერთი წლის აშენებულია და მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ეზოს შესაბამისად მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 12:13
**დასრულების დრო** - 12:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის (მუნიციპალიტეტი დუშეთი, პირმისაანთკარის ფილიალი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს (მუნიციპალიტეტი დუშეთი, პირმისაანთკარის ფილიალი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზის გამო საკითხის განხილვას ვეღარ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნატო შეროზია. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 75.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 75 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ემილია განრიაძე-კაკაბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც "სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ლენტეხის საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხით, თუ როდისთვის დასრულდებოდა.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ 2025 წლის 1 აგვისტოდან დაიწყო აღნიშნული ბაღის მშენებლობა, სარდაფი ამოყვანილია და დასრულების დროა 2026 წლის ნოემბრის ბოლო. ასევე, განმარტა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი საკითხები, კერძოდ, ისაუბრა წყლის კვლევები ჩატარებასა და გადაუდებელი დახმარების ტრენინგებთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან არსებული მენიუს მიმართებით გაიწერა ხარვეზები ახალი მენიუს და კარტოთეკების დანერგვა იგეგმება სპეციალისტების დახმარებით.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა 66 საათიანი ტრენინგით იყვნენ თუ არა პერსონალი გადამზადებული.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ პერსონალი გადამზადებულია 66 საათიანი ტრნინგით.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა იცნობდა თუ არა გაერთიანების ხელმძღვანელი ახალი საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურის პროექტს.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებას შეხვედრა ჰქონდა მერთან და ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელ პირთან და აღნიშნული საკითხი დეტალურადაა გავლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 13:10
**დასრულების დრო** - 13:34

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებას (ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან აკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ემილია განრიაძე-კაკაბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც "სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ რაიმე რეკომენდაცია არის თუ არა შესრულებული დაწესებულების მხრიდან.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ სამუშაოები უკვე დაწყებულია სოპების მიმართულებით, დაგეგმილია წყლის კვლევები და გადაუდებელი დახმარების ტრენინგი.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ხოფურის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია ხომ არ არის დაგეგმილი.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ მოხსენებითი ბარათი არის გაგზავნილი გაერთიანების მხრიდან.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა აღნიშნულ ბაღში გადამზადბულია თუ არა პერსონალი 66 საათიანი ტრენინგით ან კურიკულუმის ტრენინგით.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პერსონალი გადამზადებულია 66 საათიანი და კურიკულუმის ტრენინგებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:03
**დასრულების დრო** - 14:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებას (ხოფურის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან აკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაზრიაძე-კაკაბაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ემილია განრიაძე-კაკაბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც "სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰქონდა თუ არა დამოუკიდებელი შესასვლელი.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 14:48
**დასრულების დრო** - 15:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებას (ხელედის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან აკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზის გამო საკითხის განხილვას ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, ნათელა ლურსმანაშვილი. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ემილია გაბრიაძე-კაკაბაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს. სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 15.
აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ემილია განრიაძე-კაკაბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდართან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა არის თუ არა ხელედის საბავშვო ბაღთან ახლომდებარე სხვა ბაღი.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ 7 კილომეტრში არის ლენტეხის საბავშვო ბაღი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა გაერთიანებას აქვს თუ არა ბიუჯეტში საკმარისი თანხა მოცემული სამუშაოებისათვის.
ლენტეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, ლამზირა გუგავამ აღნიშნა,ამ ეტაპზე ცვლილება არის გასაკეთებელი, რადგანაც საკმარისი თანხა იყოს ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:18
**დასრულების დრო** - 15:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების (საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 15-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებას (საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ლატალის საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - ლატალის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 2 და 3 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების

კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც "სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ზოგიერთ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო დასკვნაში მითითებული ნაწილი ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი გარკვეული აქტივობების შესრულებაზე უკვე დაწყებულია მუშაობა. მაგალითად, შედგენილია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა და შესაბამისად განხორციელდება საგანმანათლებლო რესურსის შეძენა. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა და სექტემბრის თვეში იგეგმება კომპიუტერისა და პრინტერის შესყიდვა. ასევე, ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა პერსონალის გადამზადებისთვის და ზაფხულში დაგეგმილია საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება ახალი კურიკულუმის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:00
**დასრულების დრო** -16:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ლატალის საბავშო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ლატალის საბავშო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (მულახის (მუჟალი) საბავშო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - მულახის (მუჟალის) საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 4 და 5 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების

ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 45. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც "სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა აღმზრდელების რაოდენობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მოდებაძემ დააზუსტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძებელს ამ ეტაპზე ჰყავს ერთი აღმზრდელი და ერთი აღმზრდელის თანაშემწე, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად დამატებით საგანმანათლებლო პერსონალის აყვანა.
საბჭოს წევრი, ნინო ლაზარტყავა, დაინტერესდა სპეციალური პედაგოგის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა აღნიშნა, რომ გამოცხადებულია კონკურსი შესაბამისის კადრის შესარჩევად.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი დაინტერესდა სასმელი წყლის უვნებლობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ სასმელი წყლის ავზების დასუფთავებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური. ასევე, აღინიშნა, რომ წყლის ფილტრების შესაძენად და დასამონტაჟებლად ბიუჯეტში გამოყოფილი არის თანხა და დაწესებულება გეგმავს სექტემბრის თვის პერიოდში აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:24
**დასრულების დრო** -16:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (მულახის (ლახამი) საბავშო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (მულახის (მუჟალი) საბავშო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

**მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ეცერის საბავშო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში - ეცერის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 6 და 7 აპრილს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025); სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 30. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეოთხე სტანდარტი, შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მორე სტანდარტი მონიშნულია როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", თუმცა უნდა იყოს მონიშნული "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა ნაწილ მათგანთან მიმართებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ნაწილ დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა აღმზრდელების რაოდენობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მოდებაძემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში დასაქმებული იყო სამი აღმზრდელი და სამი აღმზრდელის თანაშემწე.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ეზოს მოწყობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია ხერგიანმა განმარტა, რომ დაგეგმილი აქვთ ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ეზოს მოწყობილობების შესაძენად განხორციელებულია ბაზრის კვლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 16:45
**დასრულების დრო** -16:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ეცერის საბავშო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ეცერის საბავშო ბაღს) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.
საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 28 მაისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე